

16.1. მსესხებლის კრედიტუნარიანობის ცნება

კომერციული ბანკის საკრედიტო საქმიანობა დაკავშირებულია მრავალი სახეობის რისკთან, რომელებიც მოიცავენ სესხების არდაფარვის (ან დროული არდაფარვის) პოტენციურ საშიშროებას. ყოველივე ეს განაპირობებს მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების აქტუალობის მაღალ ხარისხს. გამომდინარე იქიდან, რომ კრედიტუნარიანობის შეფასება ესაა პროცესი, რომლის დროსაც შეისწავლება ის ფაქტორები, რომელთაც შეიძლება გამოიწვიონ კრედიტის არათავისდროული და არასრული დაფარვა, შეიძლება ჩამოყალიბდეს კომერციული ბანკის მხრიდან პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების მიზანი და ამოცანები:

- 1) შეისწავლოს და განსაზღვროს მსესხებლის მიერ საკრედიტო დავალიანების თავიდროულად და სრულად დაფარვის უნარი;
- 2) შეაფასოს და განსაზღვროს რისკის ის ხარისხი და დონე, რომლის საკუთარ თავზე ასაღებად კომერციული ბანკი არის მზად;
- 3) განსაზღვროს კრედიტის მოცულობა, რომელიც შეიძლება გაიცეს არსებული გარემოებების გათვალისწინებით;
- 4) შეაფასოს და განსაზღვროს ის პირობები (ვადა, გირაო, პროცენტი და სხვ.), რომელთა გათვალისწინებითაც მოხდება დაკრედიტება.

მსესხებლის კრედიტუნარიანობა – ესაა მსესხებლის უნარი და მზადყოფნა, დროულად და სრულად დაფაროს აღებული კრედიტი და მასზე დარიცხული პროცენტები, ანუ ესაა პოტენციური მსესხებლის მიერ კრედიტის მიღების მატერიალური და ფინანსური შესაძლებლობების ერთობლიობა, რომელიც განპირობებულია მის მიერ კრედიტის დროულად და სრულად დაფარვის უნარით.

გადამხდელუნარიანობა არის უფრო ფართო ცნება და გულისხმობს კრედიტუნარიანობასაც. თუკი გადამხდელუნარიანობა აფიქსირებს არგადახდებს გასულ პერიოდში ან სხვა რომელიმე პერიოდისათვის, კრედიტუნარიანობის შეფასებისას ხდება პროგნოზირება პოტენციური მსესხებლის ვალდებულების დაფარვის უნარის შესახებ ამ კონკრეტული სესხის ვადის პერიოდში. ანუ სხვანაირად თუ ვიტყვით, კრედიტუნარიანობა განსაზღვრავს პოტენციური მსესხებლის ერთი კონკრეტული დავალიანების დაფარვის შესაძლებლობას და არა ყველა ვალდებულებისა, როგორც ეს ხდება მისი გადამხდელუნარიანობის შეფასების შემთხვევაში.

ვალდებულებების გადახდასთან დაკავშირებული პრობლემები გასულ პერიოდში არის მხოლოდ ერთ-ერთი და არა გამსაზღვრელი, მაჩვენებელი, რომლითაც ბანკი ხელმძღვანელობს გადანყვეტილების მიღებისას. თუკი პოტენციურ მსესხებელს აქვს ვადაგადაცილებული დავალიანება, მაგრამ ამავდროულად – საკმარისი კაპიტალი და მისი ბალანსი ლიკვიდურია, ამ შემთხვევაში ვადაგადაცილების წარმოქმნის ერთჯერადი „ჩავარდნა“ არ შეიძლება გახდეს მსესხებლის არაკრედიტუნარიანობის შესახებ დასკვნის გამოტანის საფუძველი.